ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5004387720

№ 5004387720

12/08/2020 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელს

ბ-ნ გია უსტარაშვილს

ბატონო გია,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N0000373704 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 24 ივლისის რეგისტრაციის N1004750720) საფუძველზე, გიგზავნით ტრასოლოგიური ექსპერტიზის N004488120 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე

ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5004387720

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ________________

თარიღი 12.08.20

NATIONAL FORENSICS BUREAU

169 171

004488120

ექსპერტის დასკვნა № 004488120

## გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ტრასოლოგიური ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ქვესტრუქტურა: ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის

დასახელება: ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება

თანამდებობა: დეტექტივ-გამომძიებელი

სახელი და გვარი: გია უსტარაშვილი

საფუძველი: მომართვა

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

**შემსრულებელი ექსპერტები:**

თამარ შოშიტაშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 22 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. თამარ ბაჩალიაშვილის ტანსაცმელს – დალუქული სსიპ ლ. სამხარაულის საექსპერტო ეროვნული ბიუროს №201802978 პაკეტში, აღენიშნება თუ არა რაიმე სახის მექანიკური დაზიანება, დადებით შემთხვევაში როგორია მათი განლაგება, ხანდაზმულობა, წარმოქმნის მექანიზმი, რითი შეიძლება იყოს ის მიყენებული.

2. ავტომანქანიდან ამოღებულ სპორტულ ფეხსაცმელს – დალუქული შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლუქით FCI 452997, აღენიშნება თუ არა რაიმე სახის მექანიკური დაზიანება, დადებით შემთხვევაში როგორია მათი განლაგება, ხანდაზმულობა, წარმოქმნის მექანიზმი, რითი შეიძლება იყოს ის მიყენებული.

3. ავტომანქანის კარის საკეტებზე და ე.წ. უკანა საბარგულის საკეტზე შეიმჩნევა თუ არა მექანიკური ზემოქმედების კვალი? დადებით შემთხვევაში დაგვიდგინეთ მისი ხანდაზმულობა, ზემოქმედების წარმოშობის მექანიზმი და მიმართულება.

4. ავტომანქანის სალონის საბარგულის საკეტზე შეიმჩნევა თუ არა მექანიკური ზემოქმედების კვალი? დადებით შემთხვევაში დაგვიდგინეთ მისი ხანდაზმულობა, ზემოქმედების წარმოშობის მექანიზმი და მიმართულება."

შენიშვნა: – აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ექსპერტიზის ბიუროში ა/წ 28 ივლისს (რეგ. №1004802620) მიღებულია გამომძიებელ გია უსტარაშვილის დამატებითი დადგენილება – დათარიღებული 27.07.2020წ., ხოლო 31.07.2020წ. (სეებ-ის რეგ. №1004900620) კი წარმოდგენილია 30.07.2020წ. №GM 0000395381 HM წერილი თამარ ბაჩალიაშვილის ტანსაცმლის ფუთის შტრიხკოდის კორექტირების თაობაზე.

– მესამე და მეოთხე კითხვა წარმოადგენს ავტოტრასოლოგიური კვლევის საგანს, რის გამოც მასზე კვლევა არ ჩატარებულა და პასუხი იხილეთ შესაბამის დასკვნაში.

ნივთმტკიცება (ორი ფუთა – ტანსაცმელი და ფეხსაცმელი – იხ. ფოტო №1) გაიხსნა ექსპერტ თინათინ მგელაძესთან ერთად. კვლევების დამთავრების შემდეგ გადაეცა ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტს – შესაბამისი კვლევისთვის.

შემოსვლის თარიღი: 24/07/2020 წ

გასვლის თარიღი: 12/08/2020 წ

## დასკვნა

ფუთებზე არსებული წარწერის და დადგენილების ფაბულის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ:

1. **თამარ ბაჩალიაშვილის ტანსაცმელს** (მაისური, ჯინსის შარვალი, აზლუდი, ქვედა საცვალი – ტრუსი, ერთი წყვილი წინდა, რეზინისმაგვარი რგოლი – თმის სამაგრი. **დალუქული სეებ-ის 201802978 კოდირებულ პარკში**), მატლების, ბიოლოგიური მასის დაშრევების და ლორწოვანი სითხის ფონზე – მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი – დაზიანება არ აღენიშნება.

2. **ავტომანქანიდან ამოღებულ სპორტულ, ერთ წყვილ, ფეხსაცმელზე (FCI 452997 )**, საერთო ექსპლუატაციური ცვეთის ფონზე, დაზიანება არ აღინიშნება, ხოლო შესაკრავ ზონრებზე არსებული დაზიანებები განვითარებულია წყვეტით – მექანიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

თამარ შოშიტაშვილი

თ. [signature]

## გამოკვლევა

I. ნივთმტკიცება ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წარმოდგენილია სეებ-ის პოლიეთილენის „**201802978**" კოდირებული პარკით, რაზეც აღინიშნება პოლიგრაფიული და ხელით შესრულებული განმარტებითი წარწერები. პარკი მოთავსებული იყო თეთრი ფერის გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკში. სეებ-ის პარკზე არსებული წარწერის მიხედვით გამოკვლევას ექვემდებარება: **„თამარ ბაჩალიაშვილის გვამის ტანსაცმელი 1) თეთრი მოკლესახელოებიანი მაისური, 2) რუხი ლიფი, 3) შავი ჯინსის შარვალი, 4) თეთრი წინდები."** ფუთის (პარკის) მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა, გახსნისას მასში აღმოჩნდა ტანსაცმელი: მაისური, ჯინსის შარვალი, ქვედა საცვალი – ტრუსი, ერთი წყვილი წინდა და რეზინისმაგვარი რგოლი – თმის სამაგრი. წარმოდგენილი ტანსაცმელი სველია, ახდის მძაფრი სუნი. მათზე აღინიშნება ბიოლოგიური მასისმაგვარი ნადებები, დიდი რაოდენობით მატლები და ლორწოვანი სითხე. (იხ. ფოტო №2).

1. წარმოდგენილი სავარაუდოდ ღია ფერის (ფაქტიურ მდგომარეობაში რეალური ფერის განსაზღვრა შეუძლებელია) მოკლესახელოებიანი მაისურის დათვალიერებით დადგინდა, რომ მოკლესახელოებიანია. აქვს სამკუთხედი გულისპირი. წინა ზედაპირზე მარცხნივ, ქვედა კიდეში, დამაგრებული აქვს ოვალური ლითონისმაგვარი დეტალი, რაზეც აღინიშნება ლათინური შრიფტით შესრულებული რელიეფური წარწერა: „**PACIFIK...** " და სხვა წარწერა. მსგავსი და სხვა წარწერების მქონე ქსოვილის ეტიკეტი აქვს დაკერებული შიგნიდან კისრის უკანა ზედაპირზე. მაისურზე აღინიშნება თმისმაგვარი ბეწვები, მატლები და ბიოლოგიური მასისმაგვარი ნადებები. გაჟღენთილია მოყავისფრო ლორწოვანი სითხით, რის ფონზეც მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი დაზიანება არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

2. გამოკვლევას ექვემდებარება შავი ფერის ჯინსის ტიპური შარვალი, რაც იკვრება ლითონისმაგვარი ელვით და ღილით. უკანა მარჯვენა ჯიბის ზემოთ გარედან სალტაზე დაკერებული აქვს შავი ფერის ტყავისმაგვარი მასალის ეტიკეტი, რაზეც წარწერის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. შარვალზე აღინიშნება მატლები და ბიოლოგიური მასისმაგვარი ნადებები. გაჟღენთილია მოყავისფრო ლორწოვანი სითხით.

დეტალური კვლევით დადგინდა, რომ შარვალზე მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი დაზიანება არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

3. აზლუდის დათვალიერებით დადგინდა, რომ დამზადებულია მოშავო ფერის ქსოვილისგან. ბუდეები ღრუბლის („გუბკა") აქვს, რასაც ქვედა მიდამოში ირგვლივ გააჩნია ფასონური საფიქსირებლები, ხოლო ზედა კიდეებზე ღია ფერის მაქმანი. აზლუდი უკან იკვრება გამოსადები ლითონის ორი კაუჭით – „დუგმით". გააჩნია ფასონურად მოსახსნელი სამხრეები – ე.წ. „ბრეტელები", რაზეც დამაგრებულია სიგრძის სარფიქსირებელი. აზლუდი გაჟღენთილია მოყავისფრო ლორწოვანი სითხით.

აღინიშნება ბიოლოგიური მასისმაგვარი ნადებები და მატლები. გარდა ხსენებულის მასზე დაზიანება, დამახასიათებელი მექანიკური ზემოქმედებისთვის, არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

4. მოშავო ფერის ქსოვილისგან დამზადებული ქვედა საცვალის – ტრუსის დათვალიერებით დადგინდა, რომ წინა ზედაპირი ფასონურად გიპიურის ქსოვილისაა, რასაც საწელურზე, შუალედურ მიდამოში გააჩნია ფასონური პატარა ბაფთა. საწელურზე აქვს რეზინი. ტრუსზე აღინიშნება მატლები და ბიოლოგიური მასისმაგვარი ნადებები. გაჟღენთილია მოყავისფრო ლორწოვანი სითხით.

დეტალური კვლევით დადგინდა, რომ ტრუსზე მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი დაზიანება არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

5. გამოკვლევას ექვემდებარება სავარაუდოდ ღია ფერის (ფაქტიურ მდგომარეობაში რეალური ფერის განსაზღვრა შეუძლებელია) ფასონურად დაბალყელიანი, ერთი წყვილი წინდა. ყელის კიდეზე რეზინით. წინდები გაჟღენთილია მოყავისფრო ლორწოვანი სითხით, რის ფონზეც გარდა მატლების და ბიოლოგიური მასის ნადებების, მექანიკური ზემოქმედების დამახასიათებელი დაზიანება – არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

6. წარმოდგენილია შავი ფერის რეზინისმაგვარი მასალის რგოლი – ე.წ. თმის სამაგრი, რაც გაჟღენთილია ლორწოვანი სითხით. მასზე აღინიშნება თმისმაგვარი ბეწვის ფრაგმენტები და ბიოლოგიური მასის ნადებები. მასზე დაზიანება არ აღინიშნება. (იხ. ფოტო №2).

ზემოთ მითითებულ **თამარ ზაჩალიაშვილის ტანსაცმელზე** (მაისური, ჯინსის შარვალი, აზღუდი, ქვედა საცვალი – ტრუსი, ერთი წყვილი წინდა, რეზინისმაგვარი რგოლი – თმის სამაგრი. **დალუქული სეებ-ის 201802978 კოდირებულ პარკში**), მატლების, ბიოლოგიური მასის დაშრევების და ლორწოვანი სითხის ფონზე, მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი, დაზიანება არ აღინიშნება.

II. გამოკვლევას ექვემდებარება, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მხატვრულად გაფორმებული ნივთმტკიცებებისთვის განკუთვნილი, გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკი შტრიხკოდით: **„FCI 452997"**, რაზეც აღინიშნება პოლიგრაფიული და ხელით შესრულებული განმარტებითი წარწერებით: „პაკეტი №8; სსს №036190720002; თარიღი – 22.07.2020; ობიექტი – უკანა მარცხენა სავარძლის წინ ხალიჩიდან აღებულია 2ც. თეთრი ფერის სპორტული ფეხსაცმელი; გამომძიებელი – მ. გურჩიანი (ხელმოწერა) პროკურორი: გ. სახლაშვილი (ხელმოწერა) მ. რამიშვილი (ხელმოწერა); ექსპერტი – ნ. ლეჟავა დ. გულბანი ლ. ქვანია ფ. დევნოზაშვილი მ. მალახიძე მ. გოგოლაძე (ხელმოწერებით); შენიშვნა – თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. მაწევანის მიმდ. ტერ. თავისუფლების უკანონო აღკვეთა. მშობელი: ჯ. ზაჩალიაშვილი." პარკში იმყოფებოდა ქაღალდის ორი კონვერტი. მათში მოთავსებული იყო ორი ცალი სპორტული ფეხსაცმელი ცალკ-ცალკე.

წარმოდგენილი ორი ცალი სპორტული ფეხსაცმლის დათვალიერებით დადგინდა, რომ გააჩნია თეთრი ფერის ტყავისმაგვარი მასალის საპირე – ქუსლის უკანა ზედაპირზე წითელი და მოშავო ფერის მსგავსი მასალის ჩანართებით და რელიეფური ზედაპირის მქონე სწორი ლანჩი. ფეხსაცმელები იკვრება თეთრი ფერის ზონრებით. ლანჩს ქვედა ზედაპირზე, ქუსლისა და ტერფის შუალედურ მიდამოში, აღენიშნება ლათინური შრიფტით შესრულებული რელიეფური წარწერა: **„FULL & BEAR...36"**. მსგავსი წარწერები გააჩნია საპირეს ქუსლის უკანა ზედაპირზე, ენაზე და შიგნიდან დეკორატიულ საფენზე – ქუსლის მიდამოში. ფეხსაცმლის ლანჩის სიგრძეა ≈26,5სმ. სიგანე ტერფის არეში ≈8,5სმ. ფეხსაცმელებზე აღინიშნება ექსპლუატაციური ცვეთის კვლები, მოწითალო-მოყავისფრო ნივთიერების დაშრევება – მცირედი წერტილების სახით და ნიადაგისმაგვარი ნივთიერების დანაშრევი – უმეტესად მარჯვენა ფეხსაცმლის ლანჩზე.

შემდეგი დეტალური კვლევით დადგინდა, რომ მარცხენა ფეხსაცმლის შესაკრავი ზონრის დაბოლოებებზე აღინიშნება დაზიანება – დაძენძილი პირაპირებით. მსგავსი ხასიათის და წარმოშობის დაზიანება აღენიშნება მარჯვენა ფეხსაცმლის ზონარს ერთ-ერთ დაბოლოებაზე.

ზონრების სიგრძის დასადგენად ფეხსაცმელებიდან მოხდა მათი განცალკევება (მოხსნა). ზონრების სიგრძის გაზომვით დადგინდა, რომ ფაქტიურ მდგომარეობაში მარცხენა ფეხსაცმლის ზონრის სიგრზეა ≈67სმ., ხოლო მარჯვენა ზონრის ≈90სმ. გაზომვის შემდეგ ზონრები მოთავსდა გამჭვირვალე პოლიეთილენის თვითჩამკეტ პარკებში ცალკ-ცალკე, გაუკეთდა წარწერა და მოთავსდა შესაბამის ფეხსაცმელში. (იხ. ფოტო №3).

ზონრებზე არსებული დაზიანებების მიკროსკოპიული კვლევით დადგინდა, რომ დაზიანებათა პირაპირების ძაფების ბოჭკოების თავები განლაგებულია სხვადასხვა ხაზზე. განიცდიან შეთხელებას და დაძენძილობას, რაშიც შეინიშნება ბოჭკოების დაჭიმულობაც. აღნიშნული ნიშანთა ერთობლიობა კი გვაძლევს საფუძველს დასკვნისთვის, რომ დაზიანებები განვითარებულია წყვეტით –მექანიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

- გამოკვლევა ჩატარებული იქნა ტრასოლოგიური ექსპერტიზის სარისხის და პროცედურების სახელმძღვანელოს (TRA-QPM)

004488120

ექსპერტის დასკვნა № 004488120

თავში აღწერილი მეთოდის შესაბამისად.

* გამოკვლევის მეთოდი აკრედიტებულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ, ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად. აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-TL-0166.

თამარ შოშიტაშვილი

**გამოყენებული მასალები**

1. დადგენილება.
2. ნივთმტკიცება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ტრასოლოგიური ექსპერტიზისპროცედურებისსახელმძღვანელოTRA-QPM.
2. „ტანსაცმელზე მექანიკური დაზიანების ტრასოლოგიური კვლევა" – მეთოდური სახელმძღვანელო მოსკოვი 2006წ.


ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ქეთევან გოგაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი მურვანიძე